ფროიდის დაცემული ქალები: იდენტიფიკაცია, სურვილი და ,,ჰომოსექსუალობა ქალში''

დაიანა ფასი
მთარგმნელი: სალომე ქინქლაძე

აღნიშნული ესე ეხება ფსიქოანალიტიკურ ტექსტებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად განხილულ ნაშრომს, ზიგმუნდ ფროიდის 1920 წლის შემთხვევის ისტორიას, სახელწოდებით ,,ჰომოსექსუალობის ფსიქოგენეზი ქალში''. მისი მიზანია, შეისწავლოს ის ფარული მეტაფორები, რომლებსაც ქალების ინვერსიის შესახებ ფროიდის თეორია ეფუძნება. მივიჩნევ რა, რომ ვერც ერთი მეცნიერული ენა ვერ იქნება მეტაფორებისგან თავისუფალი, ვამტკიცებ, რომ ,,დაცემის'' კოგნიტური პარადიგმა, რომელსაც ფროიდი ქალის ჰომოსექსუალობის ,,ასახსნელად'' ეყრდნობა, რიტორიკული ფიგურაა. დაცემის ალეგორია, რომელსაც ინვერსიის თეორია ეფუძნება, ფსიქოანალიზში ძალის, საპირისპიროდ მიმართული ძალის, მიზიდულობის, განზიდულობის, ცვლილების ნიუტონისეულ მეტალოგიკას ააქტიურებს. ფსიქოდინამიკის ეს ფიგურალური ნიშნები იმაზე მეტს გამოხატავს, ვიდრე - სუბიექტის სექსუალობის საფეხურზე შეღწევა (ან მისგან დაბრუნება). ეს ნიშნები კრიტიკულად ახასიათებს და ერთმანეთისგან გამიჯნავს ორ ფსიქიკურ მექანიზმს: იდენტიფიკაციასა და სურვილს, რომლებსაც ფროიდი ნებისმიერი სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში ჩართულ ძირითად ელემენტებად განიხილავს. პრეოიდიპალურ ფაზაში გრავიტაციული დაცემა, რაც უზრუნველყოფილია მამასთან იდენტიფიკაციითა და დედის მიმართ თანმდევი სურვილის აღძვრით, ფროიდისთვის ,,ქალებში ჰომოსექსუალობის ფსიქოგენეზს'' წარმოადგენს. ამავე სახელწოდებით გამოცემული შემთხვევის ისტორია იყო ის ერთადერთი, რომლის საშუალებითაც ფროიდი ქალებში ჰომოსექსუალობის საკითხს მისი მოღვაწეობის განმავლობაში ყველაზე სტაბილურად შეეხო. ფროიდის მიერ ჰომოსექსუალი სუბიექტის ,,პრეოიდიპალიზაციის'' საკითხში ჩაღრმავებისა და შეჯამების მცდელობების შედეგად, სექსოლოგიის საზღვრები დიდწილად შეიზღუდა და დაეფუძნა სივრცის, დროის, ხანგრძლივობის, მიზიდულობისა და მოძრაობის კვლევა-ძიებას. დღემდე ეს ყოველივე გავლენას ახდენს სექსუალობის შესახებ ფსიქოანალიტიკურ მსჯელობებზე.

ფსიქოანალიზის ისტორიაში ქალის ჰომოსექსუალობა თითქმის ყოველთვის თეორიზებულია ,,პრე'' წინსართის მეშვეობით: პრეოიდიპალური, პრესიმბოლური, კანონამდე არსებული (prelaw), დაბადებამდე არსებული (premature) და პრესექსუალურიც კი. კრიტიკული დაშვება, რომ ქალის ჰომოსექსუალობა მოთავსებულია დროით და სივრცით საწყისში, ერთი სიტყვით, მიჩნეულია, როგორც პრეთეორიული, შესაძლოა, რევიზიონისტულ თეორიულ ნაშრომებში მის ხანგრძლივ უგულებელყოფაზე მიუთითებდეს. საუბარია იმ თეორიებზე, რომლებიც, როგორც წესი, მიზნად ისახავს სექსუალური სურვილის შესახებ ნორმატიული მსჯელობების გამოწვევის წინაშე დაყენებას. სექსუალური განსხვავების შესახებ თანამედროვე თეორიებში ჰომოსექსუალობის მიმართ გავრცელებული ზოგადი კრიტიკული ინდიფერენტულობა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს მცდარი დაფუძნებადობის გაუფასურებითა და დომინაციის თეორიების ჯანსაღი სკეპტიციზმით, იმ თეორიებისა, რომელთა ფარგლებშიც ჰომოსექსუალობა ისტორიულად ანალიზდება. თუმცა, დაფუძნებადობის საწინააღმდეგო მიდგომები, გარდა იმისა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მოვლენის ბუნებრივი წარმომავლობის შესახებ საფრთხის შემცველ მსჯელობებს, ამავდროულად, უნდა იკვლევდეს საკითხს, თუ როგორ იქმნება ცნება ,,პრეოიდიპალობა'', როგორც კულტურული სიმბოლოების შედეგი. უფრო კონკრეტულად კი, საჭირო, დაისვას კითხვა, როგორ ხდება ჰომოსექსუალობის მიზეზებზე იმგვარად მსჯელობა, რომ ის რეგრესულად და რეაქტიულად არის

დანახული? ქალის ჰომოსექსუალობის განხილვისას, როგორ და რატომ უწოდებს ფსიქოანალიზი სამიზნე ჯგუფს პირველადს, ინსტინქტურს, პრიმიტიულს და პრესუბიექტსაც კი, რომელიც ოიდიპოსის კომპლექსის იმ პროცესებამდე არსებობს, რომლებიც ჰეტეროსექსუალური წესრიგის დამყარებაზეა პასუხისმგებელი და ,,ლეგიტიმურად არის მიჩნეული?'' აღნიშნული კვლევა არის იმის მცდელობა, რომ დავუპირისპირდე პრეოიდიპალობის, როგორც ქალებში ჰომოსექსუალობის ამხსნელი მოდელის შეზღუდვებსა და საფრთხეებს, ამის მისაღწევად კი ფროიდის მიერ სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების თეორიზებაში იდენტიფიკაციისა და სურვილის გადამწყვეტ როლზე ვფოკუსირდები.

ზღვრული საფუძვლები

პირველ რიგში, დავსვამ შემდეგ ისტორიულ და ინსტიტუციონალურ შეკითხვას: სად არის ქალის ჰომოსექსუალობა ფსიქოანალიზში? პასუხი ფსიქოანალიზის საფუძველში დევს. ფროიდის მიერ შემოთავაზებული ექვსივე შემთხვევის შესწავლის მაგალითიდან, პირველი *ისტერიის ფსიქოანალიზის ფრაგმენტი* (1905) და უკანასკნელი ,,ჰომოსექსუალობის ფსიქოგენეზი ქალში''(1920) მიზნად ისახავს ქალებში ინვერსიის, დევიაციების კვლევას ქალის მიერ სურვილის ობიექტის არჩევის დროს. ჟაკ ლაკანი 1932 წელს მედიცინის დარგში შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომში პარანოიდულ ფსიქოზზე მსგავს დაინტერესებას ამჟღავნებს პარანოიით დაავადებული ქალების მიმართ, რომელთა დისტანცირების ნაკლებობა სხვა ქალებისგან, ისევე, როგორც საკუთარი თავისაგან (რასაც ლაკანი დედასთან პრესიმბოლურ, პრელინგვისტურ, პრესეპარატორულ ურთიერთობას უკავშირებს) წარმოადგენს პარანოიის მიზეზს. თავდაპირველად იმდენად დიდი დაინტერესება გამოხატა ლაკანმა ქალებში ჰომოსექსუალობის საკითხის მიმართ, რომ ქეთრინ კლემენტის ზოგადი დაკვირვება, რომლის თანახმად, ,,თავდაპირველად ლაკანი დაინტერესებული იყო მხოლოდ ქალების კვლევით'', საჭიროა, შეიცვალოს და ფორმულირდეს შემდეგნაირად: ,,დასაწყისში ლაკანი დაინტერესებული იყო მხოლოდ *ჰომოსექსუალი* ქალების კვლევით''. უკანასკნელ პერიოდში აღსანიშნავია იულია კრისტევას მნიშვნელოვანი ნაშრომი სექსუალურ განსხვავებაზე, რომელშიც იგი ქალის ჰომოსექსუალობის მიმართ შედარებით გულგრილობას გამოხატავს, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ იგი უგულებელყოფს აღნიშნულ საკითხს. კრისტევას ნაშრომი წინ წამოწევს ქალებში ჰომოსექსუალობის საკითხს მხოლოდ შემთხვევით, ბიბლიურ (postscriptural) ასპექტებზე საუბრისას. მის ადრეულ წიგნებში ქალის ჰომოსექსუალობა განხილულია, როგორც ,,ფუნდამენტური'' და მოსამზადებელი ეტაპი, რასაც შემდგომ აღარ ანიჭებს ასეთ მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი, ნაშრომში *ჩინელი ქალების შესახებ* (1974), სადაც წიგნის პირველი მესამედი ორიენტაციის თეორიის ნაცვლად აღმოსავლეთის საკითხის ანალიზს ეთმობა.

ზიგმუნდ ფროიდიდან იულია კრისტევამდე პრეოიდიპალობა ჰომოსექსუალი სუბიექტის ფუნდამენტურ, ფსიქიკურ წყობას განსაზღვრავს, რომელიც, როგორც ჩანს, მთლიანად არასოდეს არის გათანაბრებული სუბიექტთან და მიკუთვნებულია კულტურამდელ ამბივალენტურ სივრცეს.

ფროიდის ,,სექსუალური გადახრების'' კვლევიდან დაწყებული, რაზეც მან სექსუალობის თეორია დააშენა, გაგრძელებული ლაკანის მიერ ქალის ჰომოსექსუალობის პრეოიდიპალიზებული პარანოიდული ფსიქოზის ნაწილად განხილვით და დასრულებული კრისტევას თეორიით, რომელშიც იგი ქალების ჰომოსექსუალობას განიხილავს არა როგორც სემიოტიკის რევოლუციური შესაძლებლობის განხორციელებას, არამედ - მასზე უარის თქმას, ფსიქოანალიზის მიერ

ჰომოსექსუალობის პოზიციონირება-რეპოზიციონირება ხდება სუბიექტის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპებში დაბრუნებით. ფსიქოანალიზში წინსვლა სინამდვილეში უკან, სუბიექტის პრეისტორიაში დაბრუნებას ნიშნავს. უკანასკნელ ნაშრომებში, რომლებიც სუბიექტურობის საკითხს შეეხებოდა, სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების ათვლის წერტილად პრეოიდიპალობამდელი პერიოდია მიჩნეული. ფროიდიდან ლაკანამდე და ლაკანიდან კრისტევამდე მსჯელობა იცვლება ოიდიპალურიდან პრეოიდიპალურამდე და შემდეგ სემიოტიკურამდე (სემიოტიკურს შეიძლება, ვუწოდოთ პრეოიდიპალურამდე ფაზა). ფსიქოანალიზის ისტორიაში ინვერსია დროსთან მიმართებით არის თეორიზებული: პრეოიდიპალური მიჩნეულია ოიდიპალურის შემდგომ ფაზად, ხოლო ამას იმ არგუმენტით ხსნიან, რომ ნებისმიერი ,,პრე'' არის ,,პოსტ''-ის კონსტრუქტი, ,,პრე'' იქმნება ,,პოსტ''-ის შედეგად. ირონიულია, რომ ფსიქოანალიზი თავადვე არის რეგრესიული, რასაც ფროიდი და ლაკანი (თავის ცნობილ ,,ფროიდთან დაბრუნებაში'') ჰომოსექსუალობის ,,უკან სვლის'' პროცესს უწოდებენ, რომელიც მოვლენის საწყისამდე, კულტურამდელ დროში, ოიდიპალობამდელ პერიოდში, ისტორიამდელ ხანაში დაბრუნებას ნიშნავს. ფსიქოანალიზი უჩვეულოდ მიჰყვება განვითარების იმ გზას, რომელიც ძალიან ჰგავს ფროიდის თავდაპირველ კვლევას ჰომოსექსუალობაზე.

აღნიშნული ნაშრომი არ შეეხება ქალის ჰომოსექსუალობის ,,ეტიოლოგიის'' საკითხს (არ ისახავს მიზნად ინვერსიის ,,მიზეზის'' ან ,,წარმომავლობის'' კვლევას), რამდენადაც, ჰომოსექსუალობის მიზეზების კვლევისაგან საბოლოოდ სწორედ იმ შედეგებს მივიღებთ, რისი ჩვენებაც თავადვე გვსურს. ამის სანაცვლოდ ტექსტი ცდილობს, პასუხი გასცეს არა მარტო იმ შეკითხვას, თუ როგორ არის ქალის ჰომოსექსუალობა ფსიქოანალიზის საწყისებში განთავსებული, არამედ იმას, როგორ მიიჩნევა ის ქალის *ნებისმიერი* სექსუალური იდენტობის დასაბამად. ამ უკანასკნელი შეკითხვებით უფრო მეტს გავიგებთ იმაზე, რასაც ბოლო დროს პატრიცია უილიამსმა უწოდა ,,უსაფუძვლო მსჯელობა'', ვიდრე იმაზე, რასაც ფროიდიც კი უსაფუძვლოდ მიიჩნევს (ე.ი. საკითხზე, ჰომოსექსუალობა შინაგანია თუ შეძენილი). უმნიშვნელობა/არაარსებითობა განსაკუთრებით გამოსდეგი ცნებაა იმისათვის, რომ აღვწეროთ ჰომოსექსუალობის ფუნდამენტური, თუმცა, ბღვრული პოზიცია იდენტობის ჩამოყალიბების შესახებ ფსიქოანალიტიკურ მსჯელობებში. სიტყვა ,,უმნიშვნელობაში'' წინდებული ,,უ'', რომელსაც პრეფიქსიც შეიძლება, ვუწოდოთ, აღნიშნავს ზედაპირულობის ან უმნიშვნელობისა და (რაც შეიძლება გავიგოთ ისეთი ცნებების ფარგლებში, როგორებიცაა შემთხვევითობა, ზედმეტობა, პერიფერიულობა, უსაფუძვლობა, არარელევანტურობა, ნაკლებობა, მეორადობა...) და შინაგანი მნიშვნელოვნების, განსაკუთრებულობის კავშირს (რაც შეიძლება გავიგოთ იმ ცნებების ფარგლებში, როგორებიცაა გადამწყვეტი, ცენტრალური, მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური, საჭირო, ორგანული, სასიცოცხლო, პირველადი). ამ ორმაგი გაგების ფარგლებში, ჰომოსექსუალობა არის ,,უმნიშვნელო'' და ფსიქოანალიზში ის მნიშვნელოვანად არასასურველი, დამატებითი ელემენტია: ბავშვის ჰომოსექსუალური სურვილი მისივე სქესის მშობლის მიმართ, რაც სქესმინიჭებული სუბიექტის ჩამოყალიბებაში არსებით კომპონენტია, აღარ არის განხილული სურვილის არაარსებით, უმნიშვნელო კომპონენტად, რომლის უკუგდება და დათრგუნვა უნდა მოხდეს. შესაძლოა, რომ ჰომოსექსუალობის არაარსებითობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მუდმივი ხაზგასმა, მისი დახასიათება, როგორც დათრგუნული სიჭარბისა, ასახავდეს მეორადი რეაქციის ფორმაციას ჰომოსექსუალობის მიმართ თავისივე გატაცების წინააღმდეგ და მის ნარცისისტულ აღტაცებას საკუთარი წარმომავლობის მიმართ?

ჰომოსექსუალობა, კანონი და სიჭარბე

იმისათვის, რომ განვიხილო ქალებში ჰომოსექსუალობის არაარსებითობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მივუბრუნდები ფროიდის ტექსტს ,,ჰომოსექსუალობის შემთხვევის ფსიქოგენეზი ქალში''. ნაშრომის სათაური წაკითხვისთანავე გაუგებრობასა და ორაზროვნებას იწვევს და ის ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ქალებში ჰომოსექსუალობის *შემთხვევის* ფსიქოლოგიური მიზეზები, ან კი ქალის ჰომოსექსუალობის შესახებ ფროიდის *კვლევის* ფსიქოგენეზი. პირველ შემთხვევას ფროიდი, ჩვეულებისამებრ, ქალის სექსუალური ინვერსიის თეორიაზე აფუძნებს: 18 წლის ,,ლამაზ და ჭკვიან'' გოგოს, რომლის ოჯახი ,,კარგი რეპუტაციით სარგებლობდა'', თავდავიწყებით შეუყვარდა მასზე 10 წლით უფროსი, ,,დაცემული'' ქალი, რომელიც ,,ხშირად იცვლიდა სექსუალურ პარტნიორებს''. მეორე ქეისში ფროიდი ჩვეულებისამებრ, კვალდაკვალ მიჰყვება თავის თეორიას და შეგვახსენებს, რომ ფსიქოანალიზი ყოველთვის ინტერესდებოდა დასაწყისით, განსაკუთრებით - საკუთრით, და კანონთან, უფრო სწორად კი, კანონად *წოდებულთან* კავშირით. ფროიდი ამგვარად იწყებს შემთხვევის აღწერას: ,,ჰომოსექსუალობა ქალებში, რაც უფრო იშვიათად არა, თუმცა, ნაკლებად მკაფიოდ არის გამოხატული, ვიდრე - კაცებში, უგულებელყოფილია არა მარტო კანონის, არამედ ფსიქოანალიტიკური კვლევების მიერ'' (147). ქალებში ჰომოსექსუალობის საკითხის მიმართ ინდიფერენტულობით ფსიქოანალიზიცა და კანონიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი: ვერც ერთი ამჩნევს იმას, რაც ცხადზე ცხადია. ჰომოსექსუალობა არყოფნით კი არ გამოირჩევა, არამედ - ზედმეტი არსებობით, სიჭარბით. ის, შესაძლოა, ,,ნაკლებად მკვეთრი'' იყოს ქალების შემთხვევაში კაცებთან შედარებით, თუმცა, მაინც ,,ხმაურიანია'' (lärmend). ჰომოსექსუალობის დახასიათებისას ფროიდის მიერ სიტყვის lärmend შემოთავაზება (დაუმორჩილებელი, ხმაურიანი, ურჩი) ირიბი მინიშნებაა იმაზე, რომ სიბრმავე თავად ჰომოსექსუალობიდან მომდინარეობს, გრძნობებზე მისი თავდასხმით, თითქოს დამაბრმავებელი და დამაყრუებელი სპექტაკლი ყოფილიყოს. კანონმა და ფსიქოანალიზმა ქალების ჰომოსექსუალობა იმიტომ კი არ ,,უარყო'' და ,,უგულებელყო'', რომ ის უჩინარია, არამედ იმიტომ, რომ ის ზედმეტად ხილვადია, ხმამაღალია, არსებულია. ჰომოსექსუალობის ისეთი სიტყვით დახასიათება, როგორიცაა ,,ხმაურიანი'', ,,კაშკაშა'' საშუალებას აძლევს ფროიდს, ცვლილება მოახდინოს ფსიქოანალიზის ,,ამხსნელ ფუნქციაში'' და დაცალოს ის განმარტებებისა და ფარულობის ელემენტებისგან, რადგანაც ფსიქოანალიზისთვის წესია, რომ შექმნას შეფასების სისტემა, ხილვადობისა და მკაფიოობის განსაზღვრის ის პირობები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სექსუალური იდენტობების დანახვა და გაგება, ხოლო ჰომოსექსუალობის შემთხვევაში კი - მისი განმაპირობებელი ფსიქოლოგიური მიზეზების პოვნა.

ფროიდი განაგრძობს: ,,მიუხედავად იმისა, რომ მთხრობელები შესაძლოა, ისე არ საუბრობდნენ, რომ აღმომეჩინა მოვლენის წარმოქმნის მიზეზები და განვითარების გზა, მონათხრობი ჩვენს ყურადღებას მაინც მოითხოვს'' (147). ნაშრომში *სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან* ფროიდი ინვერტის სამ კატეგორიას გამოყოფს: აბსოლუტური (ინვერტები, რომელთა ,,სექსუალური ობიექტები მათივე სქესის წარმომადგენლები არიან''), ამფიგენი (,,ფსიქოსექსუალური ჰერმაფროდიტები'', რომელთა ,,სექსუალური ობიექტები შესაძლოა, თანაბრად იყვნენ როგორც მათივე, ისე - საპირისპირო სქესის წარმომადგენლები'') და შემთხვევითი (ინვერტები, რომელთაც კონკრეტულ გარე პირობებში... შეუძლიათ საკუთარივე სქესის ობიექტის არჩევა). ფროიდი მხოლოდ შემთხვევითი ინვერტის კატეგორიას აანალიზებს, რომელიც ,,არ არის მკვეთრად გამოხატული საუბრისას'' და მასში ლიბიდური ცვლილება შესაძლებელია, ხოლო ფსიქოანალიზის საშუალებით კი ადამიანი შეძლებს, უარი თქვას საკუთარი სქესის სიყვარულის ობიექტზე. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ფროიდის ნააზრევში, სულ მცირე, ნაგულისხმევია, რომ განსხვავება არსებობს ამ ორ ცნებას შორის:

,,ჰომოსექსუალი ქალები'' და ,,ჰომოსექსუალობა ქალებში''. აღნიშნული შემთხვევის შესწავლის დასასრულს ფროიდი ასკვნის, რომ ,,ყველა ნორმალურ ადამიანში შეიძლება, აღინიშნოს ლატენტური ან არაცნობიერი ჰომოსექსუალობის საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი'' (171), და რომ ,,ლატენტური'' ჰომოსექსუალობა ყველა ,,აშკარა'' ჰეტეროსექსუალობის ძირითადი წინაპირობაა. თუმცა, მაშინ, როდესაც ჰომოსექსუალობა, შესაძლოა, ყველა ქალში იყოს, ყველა ქალი არ არის ჰომოსექსუალი. ფროიდი აუცილებელ პირობად მიიჩნევს ,,განსაკუთრებული ფაქტორის'' (168), რამე ლიბიდური ნიშნის ან სიჭარბის არსებობას, რომელიც ქალებში შემთხვევით ჰომოსექსუალობას გარდაქმნის და ქალებს ჰომოსექსუალებად აქცევს.

იმისთვის, რომ ობიექტის გარდაქმნის დინამიკას ჩავწვდეთ, საჭიროა, მივუბრუნდეთ შემთხვევის ისტორიას. ფროიდის პაციენტი პუბერტატის ასაკშია და იგი ერთადერთი გოგოა ოჯახში, სადაც მისი სამი ძმა ცხოვრობს. გოგო ფროიდთან მკაცრმა და პურიტანმა მამამ მიიყვანა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ფსიქოანალიზი მის შვილს საეჭვო სოციალური სტატუსისა და თავისუფალი სექსუალური ქცევის მქონე ქალის მიმართ ბრმა გატაცებისაგან ,,განკურნავდა''. სეანსის დროს ფროიდი გამოავლენს, რომ ადრეულ პუბერტატში გოგო ,,საკმაოდ ძლიერ მიზიდულობას'' გრძნობდა მასზე ასაკით უმცროსი (თუმცა, მთლად 3 წლის არა) ბიჭის მიმართ. თანდათანობით ეს გატაცება ,,მომწიფებული, მაგრამ ახალგაზრდა ქალების'' (156) მიმართ ინტერესში გადაიზარდა, რომლებსაც უკვე შვილები ჰყავდათ. გოგოს გრძნობების ცვლილება ,,დედობრივი დამოკიდებულებიდან'' (156) (რაც გულისხმობდა დედად *ყოფნის* სურვილს) ჰომოსექსუალურ დამოკიდებულებამდე (დედის *ყოლის* სექსუალური სურვილი) ფროიდმა პაციენტის დედის მოულოდნელ ორსულობასა და მისი მესამე ძმის დაბადებას დაუკავშირა. მოკლედ რომ ვთქვათ, გოგოს საკუთარი დედა უყვარს და ამ ტაბუდადებულ სურვილს დედის შემცვლელისკენ მიმართავს. თუმცა, ფროიდი მაშინვე უარყოფს ქალიშვილსა და დედას შორის ჰომოსექსუალურ ინცესტს, განიხილავს რა მას, როგორც ქალიშვილსა და მამას შორის წინმსწრები ჰეტეროსექსუალური ინცესტის ჩამნაცვლებლად. გოგონას დედის მიმართ სიყვარული (პრეოიდიპალური) არის მამის სიყვარულის წინამორბედი (ოიდიპალური). გოგო დედას ,,მეტოქედ'' აღიქვამს, რადგან დედისაგან განსხვავებით, თავად არ აქვს შესაძლებლობა, გააჩინოს მამისგან მისთვის ყველაზე სასურველი ვაჟი. გოგო გაოცებისა და გაღიზიანების გამო, ზურგს აქცევს მამას და დედის მხარეს იკავებს. ქალიშვილი იმისათვის, რომ მან შეუმჩნეველი გახადოს, შენიღბოს დედასთან გაჩაღებული მტრობა, უკან იხევს, ,,დედასთან ბრუნდება'', უარს ამბობს კაცებზე, შლის დედის სიძულვილზე პასუხისმგებელ წინაღობებს და მამის ნაცვლად სწორედ მას ირჩევს სიყვარულის ობიექტად (159). დედის მიმართ სურვილის გაღვიძებას ფროიდი ერთგვარ ხრიკს უწოდებს, რათა გოგომ თავი დააღწიოს მამის მიმართ უიმედო ოიდიპალურ სურვილებს. თუმცა, საინტერესოა, თავიდანვე რატომ არის ნაგულისხმევი, რომ დედის მიმართ სურვილი მამის მიმართ განუხორციელებელი ლტოლვის ჩამანაცვლებელია და არა - პირიქით? რატომ არის გოგოს ,,იმედგაცრუების მიზეზი ის, რომ მას არ შეუძლია, გააჩინოს შვილი მამისაგან და არა ის, რომ ის შვილს ვერ გაუჩენს დედას (შესაძლებლობა, რომელსაც მოგვიანებით ფროიდი ,,ფემინურობაში'' ეხება)? რატომ არის ნავარაუდევი, რომ ქალიშვილის გულისტკენა და გაღიზიანება აუცილებლად იქნება მიმართული დედისკენ, როგორც მეტოქისკენ და არა მამის წინააღმდეგ, რომელიც, შესაძლოა, საერთოდაც ზედმეტია დედა-შვილს შორის ურთიერთობაში? მოკლედ რომ ვთქვათ, რატომ არსებობს წინასწარდაშვება, რომ შვილი ,,კონკურენციაში'' იმყოფება დედასთან და არა მამასთან?

დაცემა

იმისთვის, რომ ახსნას სექსუალური ობიექტის არჩევის პროცესში ბუნდოვანი ცვლილებები, ფროიდი იყენებს ,,დაბრუნების'' მეტაფორას. აღნიშნული ცვლილებების მომტანი სექსუალური იდენტობისა და სექსუალური იდენტიფიკაციის თეორიზებას კი ახდენს ისეთი ცნებების ფარგლებში, როგორებიცაა დაბრუნებები, განახლებები, რეგრესიები, უკუსვლები, აღდგენები და უარის თქმა. მოცემული შემთხვევის ისტორიაში პაციენტის დაინტერესება მისივე სქესის ობიექტის მიმართ პროვოცირებულია პუბერტატის ასაკში საკუთარი ოჯახის შემადგენლობის ცვლილებით (აქ იგულისხმება დედის ორსულობა და ძმის დაბადება), რასაც თან სდევს გოგოს ინფანტილური ოიდიპოსის კომპლექსის ,,განახლება''. ფროიდისათვის განახლება თავისებურ დაბრუნებას წარმოადგენს: არამყარი ოიდიპოსის კომპლექსის ყოველი განახლება უკუსვლაა, ანუ მამასთან პრეოიდიპალური იდენტიფიკაცია და დედის მიმართ სურვილის გაღვიძება. ,,ფემინურობაში'' ფროიდი დედასთან დაბრუნებას განმარტავს, როგორც მამის მხრიდან ,,გარდაუვალ იმედგაცრუებაზე'' პასუხს :

ქალის ჰომოსექსუალობა იშვიათად ან არასოდეს არის ინფანტილური მასკულინობის პირდაპირი გაგრძელება. ასეთი გოგოსთვისაც კი საჭირო ჩანს გარკვეული დროით მამის, როგორც სექსუალური ობიექტის ყოლა და ოიდიპოსის ფაზაში შესვლა. თუმცა, გარდაუვალი იმედგაცრუებების შედეგად, რაც მამისაგან მიიღო, იგი ადრეულ მასკულინურ კომპლექსს უბრუნდება.

ფროიდი, რა თქმა უნდა, არ იყო ის ერთადერთი ფსიქოანალიტიკოსი, რომელიც ქალის ჰომოსექსუალობას უკუსვლად განიხილავდა, თუმცა, მისი რეგრესიის თეორია სხვა თეორიებთან შედარებით ყველაზე ზედმიწევნით განვითარდა. მაგალითად, ელენ დოიჩიც მიიჩნევს, რომ ქალის ჰომოსექსუალობა დედის მიმართ პრეოიდიპალურ მიჯაჭვულობას წარმოადგენს და ეს პოსტოიდიპალური რეგრესიაა: ,,საკითხი არ მიემართება დედის, როგორც პირველი სიყვარულის ობიექტის არსებობას, არამედ ეს არის დაბრუნების რთული პროცესი''. ოტო ფენიჩელი კიდევ უფრო მკაფიოდ აღნიშნავს:

ქალების მიერ ჰეტეროსექსუალობაზე უარის თქმა უკან სვლაა(რეგრესიაა), რომელიც დედასთან ადრეული კავშირების მოგონებებს აღვიძებს მათში. ამდენად, ქალის ჰომოსექსუალობას უფრო არქაული ხელწერა აქვს, ვიდრე - კაცებისას. ის ადრეული წლებიდან გვიბრუნებს ქცევით პატერნებს, მიზნებს, სიამოვნების განცდას, მაგრამ, ამავდროულად, ადრეულ წლებთან დაკავშირებულ შიშებთან და კონფლიქტებთანაც მივყავართ.

ჰომოსექსუალი პრესუბიექტისთვის, ყოველი ,,პრე'' შეიცავს ,,რე''-ს ელემენტს: ქალის ჰომოსექსუალობა მიჩნეულია რეგრესულად და რეაქტიულად, პრიმიტიულად და პირველყოფილად, დაბალგანვითარებულად და არქაულად. ამასთან, ,,უკან დახევის'' ნებისმიერი ნიშანი მიუთითებს დანებებაზე, შეჯიბრში მონაწილეობაზე უარის თქმაზე, კონფლიქტიდან თავის დაღწევაზე; იმის გამო, რომ სუბიექტს არ შეუძლია ფსიქიკური კონფლიქტის მოთმენა და სურს, თავიდან აირიდოს ,,ღია მეტოქეობა''(195), ის ბრუნდება პრეოიდიპალურში. დაბრუნება ამ ტექსტში ყოველთვის გაგებულია, როგორც ზურგის შექცევა, დაკარგვა და არა დაწინაურება. დაბრუნება არის არა იმდენად დედისაკენ სვლა, არამედ - მამისაგან დისტანცირება.

მაგრამ ფროიდის თეორიაში არსებობს ,,დაბრუნების'' მეორე და თანაბრად მნიშვნელოვანი გაგება. კერძოდ, ფსიქოანალიზის მცდელობა, გავლენა მოახდინოს ჰომოსექსუალი პაციენტის

ტრანსფორმაციაზე, უფრო ზუსტად, ფსიქოანალიზის მეშვეობით, ერთი გენიტალიური ფაზა მეორედ გადააქციოს. წარმატებული ფსიქოანალიზის განხორციელებისთვის საჭირო პირობებზე საუბრისას, ფროიდი აღიარებს, რომ სუბიექტში სექსუალური იდენტიფიკაციის გარდაქმნა უშედეგო იქნება. მისი აზრით, მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ფსიქოანალიზს შეუძლია, არის ის, რომ ინვერტში ,,სრული ბისექსუალური ფუნქციები'' ,,აღადგინოს'' (151). რაც უფრო მალე დაიწყება ინვერსია (გადახრა), უფრო ნაკლებია კონვერსიის შესაძლებლობა: ,,მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატებით ვიწინასწარმეტყველოთ ფსიქოანალიტიკური თერაპიის შედეგი, თუკი ჰომოსექსუალური მიჯაჭვულობა ჯერ არ არის საკმარისად ძლიერი, ან სახეზეა ჰეტეროსექსუალური სურვილის მნიშვნელოვანი ელემენტები და ნიშნები, ე.ი. ჩანს სუბიექტის მერყეობა, ან ბისექსუალური მიდრეკილება (151). მაშინ, როდესაც ჰომოსექსუალობა წარმოდგენილია დაბრუნებად, დაცემად, იგივე იქნება მისი შესაძლო ფსიქოანალიტიკური გადაჭრა. ხოლო თუკი დედასთან მეტოქეობის პირობებში რეგრესიად, უკან დაბრუნებად განიხილება, ფსიქოანალიზი წარმოდგენილი იქნება, როგორც აღდგენა, განკურნება და გაძლიერება. აქ შეიძლება, სამართლიანად დაისვას შეკითხვა, თუკი ჰომოსექსუალური სიყვარულის ობიექტთან დაბრუნება ,,რეგრესულად'' არის განხილული, მაშინ ჰომოსექსუალობის ,,განკურნების'' მიზნით დაბრუნება რატომ ითვლება ,,აღმდგენად''. სად არის გამყოფი ხაზი დაბრუნების ამ ორ სახეს შორის? და როგორ მიმდინარეობს პროცესი, როდესაც სუბიექტი ერთი სექსუალური ობიექტიდან მეორეზე გადაერთვება?

,,დაბრუნება'' მესამე მნიშვნელობას იძენს ფსიქოანალიზში და ის ამგვარად ხასიათდება: დაბრუნება, როგორც დაცემა. ფროიდის თანახმად, დედის მიმართ სურვილის გაჩენა იწვევს დაცემას, რაშიც არ იგულისხმება კაცობრიობის ისტორიაში უკვე მომხდარი დაცემა, რაც ჰეტეროსექსუალობას მიემართება, არამედ, ეს ჰომოსექსუალობაში დაცემას ნიშნავს. ქალი სუბიექტი, რომელიც სიმბოლურ, ოიდიპალიზაციის პროცესს გადის, ,,მამის მხრიდან გარდაუვალი იმედგაცრუებების'' შედეგად პრეოიდიპალურ ფაზაში ბრუნდება. ფროიდისთვის უმნიშვნელო იყო მისი პაციენტი გოგოს თვითმკვლელობის მცდელობა, რომელიც ფსიქოანალიზის წინმსწრები მოვლენა და, ფაქტობრივად, კრიზისული მდგომარეობა იყო, რომელმაც ფსიქოანალიზის საჭიროება გამოკვეთა. ერთ დღეს, როდესაც გოგო თავის შეყვარებულ ქალთან ერთად ქუჩაში სეირნობდა, შემთხვევით საკუთარ მამას შეხვდა, რომელმაც წყვილს ,,ბრაზიანი მზერით შეხედა *[zornigen Blick]''* (148). უცებ, იმის გამო, რომ მამისა და შეყვარებულის მხრიდან გაღიზიანება იგრძნო, გონებაარეული გოგო გარეუბნის სარკინიგზო გზაზე გადახტა. ფროიდი სუიციდის მცდელობას გოგოს ქვეცნობიერი სურვილის განხორციელებად განიხილავს: ,,სურვილის განუხორციელებლობამ, გაეჩინა შვილი მამისაგან, მას ჰომოსექსუალობისკენ უბიძგა. გოგოს ,,დაცემა'' კი ახლა მამის დანაშაულია'' (162). აქ ფროიდი იყენებს ორმაგი მნიშვნელობის სიტყვას, niederkommen, რაც გულისხმობს ,,დაცემას'' და ,,შვილის გაჩენას'' (162). გოგოს ჰომოსექსუალური სურვილი (,,დაცემა'') დედის მიმართ გარკვეულწილად დედობასაც მოიცავს. დაცემა, ამ შემთხვევაში, შვილის გაჩენის ეკვივალენტია.

ქეთი ქერუთი აღნიშნავს, რომ ,,ნიუტონის შემდგომ ფილოსოფიის ისტორია შეგვიძლია, დაცემის შესახებ ურთიერთსაპირისპირო მსჯელობების სერიებად განვიხილოთ''. აღნიშნული ჰიპოთეზა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სუბიექტის სექსუალური ,,დაცემის'' საკითხზე ფროიდის მსჯელობის დროს. ფროიდის მიერ განხილულ ,,დაცემის'' შემთხვევებს სექსუალობა საზიანო მოვლენამდე დაჰყავს. ჰომოსექსუალი ქალების ქეისებზე მუშაობისას ფროიდმა *სიზმრების ინტერპრეტაციას* დაუმატა ერთი პასაჟი, რომელშიც იგი ჰყვება ადრეული ბავშვობის მოგონებაზე, რომელიც 2-3 წლის ასაკში შეემთხვა: ,,მე ავცოცდი სათავსო ოთახის სკამზე და მსურდა, რომ

კარადიდან ან მაგიდიდან რაღაც ლამაზი ამეღო. უცებ სკამი გადატრიალდა და მისი კუთხე ქვედა ყბაში მომხვდა. ნამდვილად გადავურჩი ყველა კბილის დაზიანებას''. ეს ერთგვარი დასჯის მაგალითი იყო, რომელიც ახალგაზრდა ბიჭებმა იმის გამო დაიმსახურეს, რომ მათ მალულად სურდათ დედის ნივთის აღება. ეს მოგონება იგავის ფუნქციასა და გაფრთხილების როლს ასრულებს და დაცემა სიმბოლურ მუქარას შეიცავს, რაც აჩქარებს ოიდიპალურ ფაზაზე ფროიდის მტკივნეულ და უცაბედ გადასვლას. თუმცა, უკვე კასტრირებული ქალებისთვის დაცემა სიმბოლურად გამოხატავს სხვა სახის ზიანს. ,,სიზმრებსა და ტელეპატიაში'' (1922), რომელიც მალევე გამოიცა მას შემდეგ, რაც ,,ჰომოსექსუალობის ფსიქოგენეზი ქალში'', ფროიდი თავისი პაციენტის განმეორებით კოშმარულ სიზმარს ხსნის საწოლიდან ვარდნაზე. ამ სიზმარში დაცემა ,,ბავშვის გაჩენასთან'' ასოცირდება, რაც, ფროიდის აზრით, ქალის ჰეტეროსექსუალური სურვილის საფუძვლიანი ნიშანია. *სიზმრების ინტერპრეტაციაში* ფროიდი აღნიშნავს: ,,სიზმარში ქალის სიმაღლიდან ვარდნა ყოველთვის მიუთითებს მის სექსუალურ მნიშვნელობაზე: ის საკუთარ თავს *,,დაცემულ ქალად''* წარმოიდგენს'' (202). ფროიდი ასევე იყენებს ძველ მიზოგინურ ანდაზას და აღნიშნავს, რომ ,,როდესაც გოგო ეცემა, იგი ეცემა ზურგით''. როდესაც ფროიდი აღნიშნავს, რომ მისმა ჰომოსექსუალმა პაციენტმა ,,პასუხი აგო სუიციდის მცდელობისთვის და დიდი დრო გაატარა საწოლში ზურგზე დამხობილმა'', აქ მისი მსჯელობა იმაზე მეტია, ვიდრე - არაფორმალური ცოდნის გადმოცემა (148). დაცემის შიში ქალებში მიუთითებს ჰეტეროსექსუალობისა და მისი ერთ-ერთი პოტენციური შედეგის, ორსულობის მიმართ შიშს და მაინც, დაცემა არის ქალებში ჰომოსექსუალობის განმსაზღვრელი ქმედება. ქალის ჰომოსექსუალობის შესახებ ფროიდის არათანმიმდევრული მსჯელობის გაცნობისას მკითხველის წინაშე ჩნდება თეორიული პრობლემა, კერძოდ, შეკითხვა, თუ რა კავშირშია ქალის ჰომოსექსუალური იდენტობის ფორმირება *დედობასთან*, ,,შვილის გაჩენასთან''.

ფემინისტი მკითხველისთვის უმნიშვნელო ვერ იქნება ის ფაქტი, რომ შემთხვევის ისტორია იწყება სიტყვით ,,ჰომოსექსუალობა'' და სრულდება სიტყვით ,,დედობა''. ეს შეიძლება, ცხადად მიუთითებდეს იმაზე, რომ ფროიდი ჰომოსექსუალობას დედობის საკითხის მიღმა ვერ აანალიზებს. მაგრამ, როგორ გვესმის კავშირი ჰომოსექსუალობასა და დედობას, სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების ამ ორ განსხვავებულ მხარეს შორის? ან ფროიდის საკამათო თეორიულ კლასიფიკაციაში როგორ ვხედავთ სურვილსა და იდენტიფიკაციას შორის დამოკიდებულებას? ფროიდი, შესაძლოა, გულისხმობდა, რომ დედად ყოფნის სურვილსა და დედის *ყოლის* სურვილს შორის არსებობდა კავშირი, კერძოდ, გადაუჭრელი ფსიქიკური დაძაბულობა. ან ის შეიძლება, მსჯელობდა ტრადიციული, ვიქტორიანული აზროვნების სისტემიდან, რომლის ფარგლებშიც დედობა ჰომოსექსუალობის განკურნების შესაძლო საშუალებად არის დანახული - დედობა, როგორც ,,პასუხი'' იმ შეკითხვაზე, რომლითაც ჰომოსექსუალობა ფსიქოანალიზის, აღმდგენი მეცნიერების (როგორც თავად უწოდებს საკუთარ თავს) წინაშე წარდგება. ჰომოსექსუალობა-დედობის კავშირის ანალიზის კიდევ ერთ მაგალითად ფროიდს შეეძლო, წარმოედგინა ევოლუციური სექსუალური კონტინიუმი, რომელზეც ჰომოსექსუალობა საწყისი წერტილი, დედობა კი მისი განვითარება იქნებოდა. ფროიდი შეიძლება, ასევე მსჯელობდა იმაზე, რომ ჰომოსექსუალობა დედისკენ, უკან დახეული ნაბიჯია, უფრო ზუსტად, დედის დაუფლების სურვილის რეალიზებისთვის დედად გახდომას ნიშნავს. დაბრუნების (რაც დაცემით მიიღწევა) შედეგი კი ბავშვის სიმბოლური გაჩენა იქნებოდა. შემთხვევის ისტორიის დეტალები აღნიშნული შესაძლებლობებიდან არც ერთს გამორიცხავს. სინამდვილეში ფსიქოანალიტიკოსის მსჯელობაში ურთიერთსაწინააღმდეგო ცვლილებები თავად ანალიტიკოსში შექცევადი და რეაქტიული იდენტიფიკაციების არსებობაზე მიუთითებს. ფროიდის მკითხველისთვის უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს იმის გაგება, თუ როგორ არის წარმოქმნილი სურვილი და იდენტიფიკაცია იმისათვის, რომ ჰომოსექსუალობისა და

დედობის ურთიერთდამოკიდებული, სტრუქტურული კავშირი შექმნან, ასევე, რატომ არის აუცილებელი, რომ პირველი ცნება (ჰომოსექსუალობა) ყოველთვის გავიგოთ მეორესთან (დედობასთან) კავშირში და შევუთანხმოთ მას.

იდენტიფიკაცია და სურვილი

დაბრუნება, როგორც დაცემა და როგორც შვილის გაჩენა, ქალის ჰომოსექსუალობას აიგივებს არა უბრალოდ სუბიექტის დედასთან დაბრუნებასთან, არამედ - ქალის დედობასთან. მაგრამ, ტექსტში აქცენტი იმაზე არის დასმული, რომ დედის მოსაპოვებლად აუცილებელია დედად *გახდომა.* ეს მოსაზრება ძირს უთხრის ფსიქოანალიზის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მტკიცებას (რაც გაზიარებულია ფროიდიდან კრისტევამდე), რომლის თანახმადაც, სურვილი და იდენტიფიკაცია ერთმანეთისაგან სტრუქტურულად დამოუკიდებელნი არიან და ყოველთვის ივარაუდება, რომ ერთის არსებობა მეორის უკუგდებას გამოიწვევს. სუბიექტს ერთი სქესის მიმართ სურვილი შეიძლება გაუჩნდეს მხოლოდ სხვა სქესთან თვითიდენტიფიკაციით; ფროიდი შეუძლებლად მიიჩნევს ერთდროულად ერთსა და იმავე ობიექტის მიმართ სექსუალური სურვილისა და თვითიდენტიფიკაციის არსებობას. ნაშრომის ,,ჰომოსექსუალობის ფსიქოგენეზი ქალში'' გამოქვეყნებიდან 1 წლის შემდეგ მან დაასრულა ტექსტზე მუშაობა, სახელწოდებით *მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი* (1921), სადაც იგი სქესმინიჭებული სუბიექტის ჩამოყალიბებაში იდენტიფიკაციისა და ობიექტის არჩევანს შორის რთული დიალექტიკური კავშირის სისტემატიზებას ახდენს:

> მეთოდურად მარტივია მამასთან იდენტიფიკაციასა და მამის, როგორც სექსუალური ობიექტის არჩევას შორის განსხვავების ჩვენება. მამა არის ის, რადაც *გახდომა* სურს სუბიექტს, ხოლო მეორე შემთხვევაში, მამა არის ის, ვისი *ყოლაც* სურთ. განსხვავება დამოკიდებულია იმაზე, ბმა ეგოს სუბიექტზეა თუ ეგოს ობიექტზე. შედეგად, უკანასკნელი ბმა შესაძლებელი ხდება მანამდე, სანამ ნებისმიერი სექსუალური ობიექტი შეირჩევა.

მამასთან იდენტიფიცირება გულისხმობს სურვილს, თავად გახდე ის, მაშინ, როდესაც მამის სურვილი ნიშნავს მისი ფლობის სურვილს. იდენტიფიკაციის ცნება ფროიდისათვის გენდერირებულია და დაფუძნებულია მასკულინურ ოიდიპალობაზე, მაშინაც კი, როდესაც ფროიდი იკვლევს ბავშვის დედასთან პრეოიდიპალურ (პრესექსუალურ) იდენტიფიკაციას. ფილიპ ლაკუ-ლაბარტის ერთ-ერთი ზუსტი მიგნების თანახმადაც, ფროიდმა ,,ვერ შეძლო, თავი დაეღწია ,,იდენტიფიკაციის'' ცნების განხილვას მამასთან იდენტიფიკაციის ფარგლებში''. შემდეგ კი განავრცობს, რომ პოსტოიდიპალური ,,მეორადი'' იდენტიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, წარმოგვიდგენს და ქმნის პრეოიდიპალურ ,,პირველად'' იდენტიფიკაციას. სხვა ქალის მიმართ სურვილი, ფროიდის თანახმად, შესაძლოა გაგებული იყოს მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტის მამასთან პრეოიდიპალური იდენტიფიკაციის ფარგლებში. ნაკრებში *ფსიქოანალიზის შესავალი ახალ ლექციებში* (1932-33) ფროიდი თავად მიდის დასკვნამდე, რომ იდენტიფიკაციისა და ობიექტის არჩევის სტრუქტურული ,,დამოუკიდებლობა'' არ არის ისე დაბალანსებული, როგორც ამას ,,ფორმულა'' გვეუბნება და მისი მიღწევა საეჭვოც კია. ფროიდის მიხედვით, სურვილი მუდმივად (უკან) უბრუნდება იდენტიფიკაციას: ,,იდენტიფიკაცია და ობიექტის არჩევანი ერთმანეთისგან დამოუკიდებლები არიან. თუმცა, შესაძლებელია, ერთი ადამიანის იდენტიფიცირება მოვახდინოთ მეორესთან, რომელსაც, მაგალითად, იგი სექსუალური სურვილის ობიექტად განიხილავს და მისი ეგო ამ მოდელის მიხედვით მოდიფიცირდეს/შეიცვალოს. ობიექტის

არჩევანიდან იდენტიფიკაციაზე გადასვლა არ არის მარტივი ცვლილება. ეს არის *დაბრუნება*, და უფრო ზუსტად კი - *რეგრესია*; ,,ობიექტის არჩევანმა რეგრესირება განიცადა და შემცირდა იდენტიფიკაციამდე'', აღნიშნავს ფროიდი, როდესაც ის პირველი ქალის, დორას შემთხვევას იხსენებს.

თუმცა, საჭირო, ფროიდმა ახსნას, თუ რა უწყობს ხელს სექსუალური ობიექტის არჩევანში ცვლილებას და რა განაპირობებს სექსუალურ იდენტიფიკაციასთან დაბრუნებას. ამ შეკითხვაზე პასუხი, ისევე, როგორც სხვა მრავალ შეკითხვაზე, ფროიდს დამატებითი შენიშვნის სახით აქვს მოცემული:

> სასიყვარულო ურთიერთობისთვის იშვიათი მოვლენა არ არის, როდესაც ეს ურთიერთობა წყდება სუბიექტის მხრიდან სიყვარულის ობიექტთან იდენტიფიკაციის პროცესით. ეს თითქმის იგივეა, რაც ნარცისიზმისაკენ დაღმასვლა. მას შემდეგ, რაც ეს მიიღწევა, სუბიექტისათვის მარტივი ხდება ახალი ობიექტის არჩევა, რათა ლიბიდო თავდაპირველი ობიექტის საპირისპირო სქესისაკენ მიმართოს(158).

ფროიდი ამ ცვლილებებს სურვილის მოჭარბებასთან, მომეტებულ სიყვარულთან, ან სხვა ,,ჰიპერკომპენსაციასთან'' აკავშირებს (158). რატომ აქვს ზოგიერთ სუბიექტს ეს ,,მოჭარბება'', არაარსებითად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფსიქიკური კომპონენტი, მაშინ, როდესაც სხვებს არ გააჩნიათ ის? თავად ფროიდი ვერ პასუხობს მის მიერვე იმპლიციტურად დასმულ შეკითხვას. მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი, შესაძლოა, არის ის, რომ მაშინ, როდესაც იდენტიფიკაციასა და სურვილს ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტებად განიხილავს, ფროიდი ამავდროულად მათ საჭირო შეჯახებაზე ამახვილებს ყურადღებას და გვიჩვენებს, რომ ისინი საჭიროა, გარდაიქმნან ერთმანეთად, დაუბრუნდნენ ერთმანეთს. სექსუალური იდენტობის არასტაბილურობა მდგომარეობს მისი ფსიქიკური მექანიზმების უნარში, *ჰქონდეთ ერთმანეთის სურვილი და იდენტიფიცირებას ახდენდნენ ერთმანეთთან.*

იდენტიფიკაცია ფროიდთან ჩვეულებრივ გამოხატულია სიმაღლესთან კავშირში: იდენტიფიკაცია გულისხმობს *ზემოთ* სვლას, ეგო დაწინაურდება იდენტიფიკაციის საშუალებით, რამდენადაც საკუთარ თავს ყოველთვის ადარებს მაღალ იდეალს. ჰომოსექსუალები, რომლებიც ფროიდის განვითარების სკალის ყველაზე დაბალ საფეხურზე არიან განთავსებულნი, ეგო-იდეალამდე მისაღწევ რთულ ამოცანას ეჭიდებიან მხოლოდ იმისათვის, რომ ისევ და ისევ იგრძნონ იმედგაცრუება უკვე მიღწეული ობიექტის მხრიდან. დაცემის შემთხვევაში სექსუალობა არც მინიჭებულია და არც მიღწეული, დაცემის შედეგად სექსუალობა *დაკარგულია.* სუბიექტის ,,იმედგაცრუების'' შედეგად სურვილი მუდმივად გარდაიქმნება იდენტიფიკაციად, ხოლო ეს იმედგაცრუება კი მაშინ ჩნდება, როდესაც ობიექტი ვერ აკმაყოფილებს სურვილს. როგორც ჩანს, სიყვარულის ობიექტთან შეხვედრისას განცდილი დაცემა სუბიექტის ნებისმიერი გამოცდილებებისაგან თავისი სიმძიმით არ განსხვავდება. სლავოი ჟიჟეკი სწორად შენიშნავს, რომ ნაპოვნი ობიექტი არასოდეს ემთხვევა სურვილის ობიექტს. მასთან შეხვედრისთანავე სურვილის მქონე სუბიექტი გრძნობს, რომ ,,ეს ის არ არის''. სუბიექტის ამბიციური მისწრაფებები ჰომოსექსუალურ დაცემას საკმაოდ საშიშს და სწრაფს ხდის, მაშინ, როდესაც ამ კონკრეტულმა სუბიექტმა გადააბიჯა საზღვრებს და მას ზედმეტად ჭარბმა სურვილებმა სძლია. ისინი, ვინც ყველაზე სწრაფად შედიან ოიდიპალიზაციის ფაზაში, საკმარისი იმპულსითა და ძალით უფრო მეტად ეცემიან დაბლა, რათა პრეოიდიპალურ საფეხურზე მოხვდნენ. ისინი უკან ტოვებენ სურვილს, ნაკლებობას, ზიანსაც კი. მაგრამ ამ ფსევდომეცნიერულ გრავიტაციულ მოდელში როგორი უნდა იყოს

დაცემა, რომ ადამიანი ჰომოსექსუალი გახდეს? ფროიდი აღნიშნავს: ,,ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ყველა გოგონა, რომელიც პუბერტატის ასაკში ოიდიპოსის კომპლექსის ფარგლებში მიზიდულობას განიცდის, აუცილებლად *გახდება ჰომოსექსუალობის მსხვერპლი*'' (168). უჩნდება თუ არა ზოგიერთ სუბიექტს ე.წ. იკარუსის კომპლექსი, ანუ დაცემსაკენ მიდრეკილება? ან კი არსებობს თუ არა არაპროგნოზირებადი, ნიუტონის ძალები, რომლებიც ადამიანს ნებისმიერ დროს მიზიდულობის ცენტრისკენ, ანუ პირველადი იდენტიფიკაციის საზღვრებისკენ აბრუნებს? თუკი დაცემა არის ერთგვარი ტროპი, რომელსაც ფროიდი ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების აღსაწერად იყენებს, მაშინ ზუსტად რა შეიძლება ითქვას, რომ გამოვიწვიოთ ის?

ფროიდის მიერ თეორიზებული სიჭარბე იწვევს დაბრუნებას, რადგანაც დაცემა კონცეპტუალიზებულია, როგორც პასუხი მძიმე ტვირთზე: სუბიექტი ეცემა ჭარბი სურვილის სიმძიმის ზემოქმედებით. აღნიშნული სურვილი ფუნქციონირებს მხოლოდ იმგვარი სიმბოლიკების საზღვრებში, რაც ჰეტეროსექსუალობის სინონიმია. ფროიდისათვის ჰომოსექსუალური სურვილი ოქსიმორონია (ურთიერთსაპირისპირო ცნებებით გამოხატული); ქალების მსგავსად, ჰომოსექსუალები (ქალები და კაცები) განიცდიან დანაკლისის ნაკლებობას ან არ აქვთ მის მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულება. დროებით განიხილავს რა ჰომოსექსუალობას დანაკლისის წინმსწრებ მოვლენად, რომელიც საფუძველს უყრის სურვილის გაჩენას, ფროიდი ჰომოსექსუალობას სექსუალობისაგან ცლის. ჰომო(სექსუალ) სუბიექტს დანაკლისის მაგივრად სიჭარბე, დანაკლისის ნაკლებობა განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში სიჭარბე წინ უსწრებს და ზღუდავს საჭიროებას, ის გაუგებარი ნიშანია, რომელიც რაციონალობის საზღვრებს შემოფარგლავს, ის ყოველთვის პირველი უნდა გამოჩნდეს, რათა საზღვრები დააწესოს დევიანტურსა და ნორმალურს შორის. სიჭარბე, რომელსაც ინვერსიაზე საუბრისას ფროიდი ჰომოსექსუალობასთან აიგივებს, წარმოადგენს ,,ნარჩენს'', რომელიც ,,აღნიშნულ დრომდე'' ჰომოსექსუალობასთან ერთად პირველობას იკავებს.

ყველაზე გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სიჭარბე, რომელიც ჰომოსექსუალობასა და მის ნორმატიულ სხვას, ანუ ჰეტეროსექსუალობას გამიჯნავს, სხეულის ზედაპირიდანვე იცნობა: როგორც ამბობენ, ჰომოსექსუალები საკუთარ თავს დანარჩენებისაგან განასხვავებენ ექსტრავაგანტული/უჩვეულო ჩაცმულობით, გადაჭარბებული მანევრულობით, ისტერიული ინტონაციით, ორალური სექსის დაუოკებელი მოთხოვნილებით, ,,ფემინური'' და ,,მასკულინური'' ქცევების აბსურდული იმიტაციით. ხოლო ფროიდის თეორიაში სიჭარბე გარეგანის ნაცვლად შინაგან ნიშნებს მიემართება; ინკულტურაციის იმ ნიშნების ნაკრების ნაცვლად, როგორიცაა ტანსაცმელი, ენა, სტილი, სიჭარბე წარმოიქმნება სიღრმისეული, ფარული ძალიდან. ფროიდი აღწერს, რომ მისი პაციენტი არც ერთი გარეგანი ნიშნით არ ამჟღავნებდა იმას, რაც ჰომოსექსუალი ქალისაგან ვენური მედიცინის მიდგომების მიხედვით იყო მოსალოდნელი. ჰომოსექსუალ ქალს არც ,,ფიზიკურად ეტყობოდა აშკარა დევიაცია და არც მენსტრუალური დარღვევა აღენიშნებოდა''(154). მართალია, რომ ,,ლამაზი და კარგი აგებულების'' გოგოს მამის მაღალი ტანი და მკვეთრი ნაკვთები ჰქონდა, ასევე მისი ინტელექტუალური გამჭრიახობაც ერგუნა, თუმცა, ფსიქოანალიტიკოსის თანახმად ,,ეს მახასიათებლები ჩვეულებრივი რამაა და კავშირი არ აქვს მეცნიერებასთან''(154). ამასთან, მისი წინა პაციენტის, დორასაგან განსხვავებით, ფროიდის ბოლო ჰომოსექსუალი პაციენტი ,,არასოდეს ყოფილა ნევროტული და სეანსზე მოსულს არც ერთი ისტერიული სიმპტომი არ აღენიშნებოდა'' (155). ყველანაირი ზედაპირული გაგებით, ფროიდის ახალი პაციენტი არაფრით გამორჩეული და ტიპურია. ჩვეული ისტერიული სიმპტომების (ხველა, აფაზია, ქვითინი, სპაზმები, ტიკეპი და სხვა) ან ნევროზისთვის დამახასიათებელი სხვა გარეგანი ნიშნების არარსებობას ფროიდი მიჰყავს

დასკვნამდე, რომ სწორედ ეს ნორმალურობა და ,,ერთი ისტერიული სიმპტომის'' არარსებობა არის ის, რაც ძალიან უჩვეულოა, და რომ ეს ყოველივე ქალის ყველაზე არანორმალურ ან უცნაურ მდგომარეობაზე მიუთითებს. ქალის დევიანტურობა არანორმალურობის აშკარა უარყოფის უკან იმალება. რამდენადაც სიჭარბე იმაზე მეტია, ვიდრე სტილი ან ფიზიკური გამოხატულება, მიმიკურობა (mimicry) სხეულის ზედაპირიდან მის ფსიქიკურ ნაწილში გადაინაცვლებს. ფროიდისთვის სიჭარბე პიროვნების სიღრმეშია მოთავსებული და ის ემოციური იდენტიფიკაციის სტრუქტურას განსაზღვრავს.

ფროიდის შემდეგ მიკელ ბორკ-ჯეიკობსენმა ამგვარად ახსნა სურვილი-იდენტიფიკაციის დინამიკა: იდენტიფიკაცია ყოველთვის *წინ უსწრებს* სურვილს; იდენტიფიკაცია, და არა ობიექტი, ,,მართავს'' (32), ,,მიმართულებას აძლევს'' (34), ,,იწვევს'' და ,,წინასწარმეტყველებს'' სურვილს (47). იდენტიფიკაცია არის პირველ ადგილზე და სუბიექტს ამ ცვლილების შემდეგ უჩნდება სურვილი:

> სურვილი (სურვილის მქონე სუბიექტი) არ არის პირველი და მას არ მოსდევს იდენტიფიკაცია, რომელიც სურვილს რეალობად აქცევს. ჯერ ჩნდება იდენტიფიკაციისკენ მისწრაფება, პრიმორდიალური მიდრეკილება, რომელიც სურვილს აღვიძებს; ეს არის სურვილი (მიმეტური, კონკურენტული), რომელიც დასაწყისშივე თავიდან იცილებს შემაწუხებელ სხვას იმ ადგილიდან, რომელსაც ფსევდოსუბიექტი უკვე იკავებს ფანტაზიაში. იდენტიფიკაცია საფუძველს უყრის სურვილის ობიექტის არსებობას.

ეს მიდგომა საკმაოდ წარმატებით ახერხებს სექსუალობის დე-ესენციალიზებას, რათა გვაჩვენოს, რომ სურვილი არ არის რაიმეს დასაბამი და არ არსებობს რაიმე ,,ბუნებრივი'' ან ,,ნორმალური'' ლიბიდური იმპულსები, რომლებმაც, შესაძლოა, შეიცვალოს მიმართულება, ან ,,გადაგვარდეს'', ,,გარდაიქმნას'' იდენტიფიკაციის შედეგად. თუმცა, სურვილისა და იდენტიფიკაციის შესახებ მსჯელობაში დაუზუსტებელი რჩება *იდენტიფიკაციის,* როგორც ,,პრიმორდიალური მიდრეკილების'' საკამათო განმარტება. ფროიდი ეყრდნობა ენთროპიის მეცნიერულ მოდელს, რომელიც ფსიქიკაში მიმდინარე ცვლილებისა და სექსუალური განვითარების მამოძრავებელ ძალად ჰომოფილურ იდენტიფიკაციას, ანუ, ერთგვარობისკენ, იგივეობისკენ, მიმიკრიისკენ მისწრაფებას განიხილავს. ფროიდი ჰომოფილურ იდენტიფიკაციას სექსუალური იდენტობის შექმნისთვის მნიშვნელოვან ელემენტად განიხილავს, შესაბამისად, არ მიაჩნია, რომ მიმიკრია აღნიშნული იდენტობის სტაბილურობასა და კოჰერენტულობას მუდმივ საფრთხეს უქმნის. ჩემი აზრით, ფროიდი სურვილი/იდენტიფიკაციის ურთიერთდამოკიდებულებისგან მომდინარე რეალურ საფრთხედ სურვილის სიჭარბის ნაცვლად, იდენტიფიკაციის ახალ ფორმებს განიხილავს, რომლებიც სურვილის ახალ სახეებს აწარმოებს, რომელთაც იმის პოტენციალი აქვთ, რომ სწრაფად განვითარდნენ და არ დაემორჩილონ სოციალურ წესრიგს.

აღნიშნულ ტექსტში ,,ჰომოსექსუალობის ფსიქოგენეზი ქალში'' ახალგაზრდა დედების მიმართ გოგოს სექსუალური გატაცება დაკავშირებულია ,,დედად ყოფნის სურვილის'' შესაძლო და გარდაუვალ განუხორციელებლობასთან (156). იქიდან გამომდინარე, რომ ოიდიპალურ ფაზაში გოგომ ვერ აისრულა ნატვრა და მამისაგან შვილის გაჩენა ვერ შეძლო, მან სურვილის ობიექტი შეიცვალა. ეს მარცხი კიდევ უფრო ხილვადი გახდა შუახნის ასაკში დედის დაორსულების შემდეგ. ფროიდის თანახმად, ძმის დაბადების შემდგომ, გოგოს სექსუალური სურვილის პირველი ობიექტები ,,30-35

წლის დედები არიან, რომელთაც იგი მათ შვილებთან ერთად შეხვდა'' და მიუხედავად იმისა, რომ გოგო საბოლოოდ უარს ამბობს დედობაზე, როგორც ,,მისი სურვილის ობიექტში აუცილებელ ელემენტზე,'' ფსიქოანალიზით ფროიდი რწმუნდება იმაში, რომ ,,ქალი გოგოსათვის დედის შემცვლელია'' (156). მაშინ, როდესაც ფროიდი მკითხველის ყურადღებას მიმართავს სურვილის სიჭარბისკენ, რომელიც (უკან) უბრუნდება იდენტიფიკაციას, შემთხვევის ისტორიის დეტალები სწორედაც რომ საპირისპიროს გვიჩვენებს: ძლიერი იდენტიფიკაციის გრძნობა (,,დედად ყოფნის ძლიერი სურვილი'') ემორჩილება იგივენაირად ძლევამოსილ სურვილს (,,დედობა, როგორც აუცილებელი შტრიხი მისი სურვილის ობიექტში''). როგორც ჩანს, ფროიდის პაციენტი საკუთარ როლს საკმარისად კარგად ითავისებს. დედად ყოფნის მოჭარბებული სურვილის გამო მას უნდა, რომ სექსუალური კავშირი დაამყაროს დედასთან.

თუმცა, ფროიდი საკუთარ ნაშრომში გაურბის იმ პარადოქსის იდენტიფიცირებას, რომელიც წარმატებული ოიდიპალიზაციის შედეგად წარმოქმნილ ფარულ საფრთხეზე მიუთითებს. ამის აღიარებით, სულ მცირე, გაიზიარებდა, რომ ჰეტეროსექსუალობა არაარსებითი ელემენტი და სიჭარბეა, ან, უფრო რადიკალური ფორმულირებით (და ფროიდისთვის, არალოგიკური აზრით), სინამდვილეში ,,აბსოლუტური'' ან ,,ექსკლუზიური'' *ჰეტეროსექსუალობა* შეიძლება, იყოს ეგოსთვის შეუთავსებელი. უფრო მეტიც, კონკრეტული შემთხვევების ანალიზისას იდენტიფიკაციისა და სურვილის არასწორი ინტერპრეტირება, რაც ფროიდისათვის სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო, მისი მხრიდან ფსიქოანალიზის აკულტურაციისა და ნორმატიული ნაშრომების უგულებელყოფაზე მიუთითებს. ფსიქოანალიზის ამ მიდგომებში იგულისხმება სუბიექტის იდენტიფიკაციების მონიტორინგი და შეზღუდვები, რაც მის ,,გამოსწორებას'' ისახავს მიზნად. ყოველი ამის შემდეგ, ფსიქოანალიზის მიზანია, რომ იდენტიფიკაციის ცვლილების მეშვეობით კულტურულად ტაბუირებული სურვილი გარდაქმნას. ეს ის ამოცანაა, რომელიც, როგორც წესი, ფსიქოთერაპიაში ტრანსფერით/გადატანით მიიღწევა.

დაცემული ქალები

პირველად იდენტიფიკაციაში ჰომოსექსუალი ქალების ,,დაცემის'' შესახებ (დედასთან პრეოიდიპალური შერწყმა) ფროიდის მსჯელობით წარმატებით ხდება ,,სექსუალობის'' კატეგორიიდან იმ ქალების გამორიცხვა, რომელთაც სხვა ქალები მოსწონთ. სექსუალობის კატეგორიიდან ქალების ექსკლუზია ხდება იმგვარად, რომ სექსუალურ სიმწიფედ განიხილება ნებისმიერი რამ, რაც მეორადი იდენტიფიკაციის ფარგლებში ჰეტეროსექსუალური სურვილის ობიექტის შერჩევით მიიღწევა (ე.ი. მშობლის იდეალთან ოიდიპალური შერწყმა). ქალის ჰომოსექსუალობის პრესექსუალურობას ფროიდი იმით ამტკიცებს, რომ, პირველ რიგში, იმავე სქესის მიმართ სურვილი პრინციპულად და დანამდვილებით არის პირველადი იდენტიფიკაცია, და მეორე, პირველად იდენტიფიკაციაზე ვერ ახდენს გავლენას ის კულტურული მარკერები, რომლებიც მეორად იდენტიფიკაციასთან ასოცირდება. როდესაც გოგო ოიდიპოსის კომპლექსს უკუაგდებს, რითაც მან პირველად შეაბიჯა ფეხი ისტორიასა და კულტურაში, იგი ეცემა პირველადი იდენტიფიკაციის ქვესკნელში და უკან ტოვებს სექსუალურ განსხვავებებსაც. თუმცა, ,,პირველადი'' იდენტიფიკაცია თავად წარმოადგენს სოციალურ პროცესს, უკვე წინასწარ გულისხმობს მამობრივი და დედობრივი როლების კულტურულად შეწონილი განსხვავებების ცოდნას და, სულ მცირე, ამტკიცებს სექსუალური განსხვავებების ,,ინტუიტურ ხასიათს''. პრეოიდიპალობა მყარად არის ჩაშენებული სოციალურ წესრიგში და შეუძლებელია, ის

განისაზღვროს სიმბოლურამდელ, მის გარეთ მყოფ ან მის შემდგომ მოვლენად. დედისა და ქალიშვილის, ისევე, როგორც მამისა და ქალიშვილის ურთიერთობა, წარმოადგენს რეპრეზენტაციის, სოციალურისა და კულტურის ველში ჩაწერილ სიმბოლურ ასოციაციას. ფროიდი პაციენტის მიზიდულობას მასზე ასაკით უფროსი ქალის მიმართ, რომელიც ბავშვის გაჩენის ასაკშია, აღიქვამს, როგორც გოგოს ადრეული ,,დედობის კომპლექსის'' პრაქტიკას, დედასთან მიჯაჭვულობის პრეოიდიპალურ, სექსუალობისგან დაცლილ მდგომარეობას, მაშინ, როდესაც ამავე დროს, ჰომოსექსუალურ ობიექტის არჩევანს (წინმსწრებ) მამობრივ იდენტიფიკაციაზე დამოკიდებულად განიხილავს. ეს მსჯელობა, რომელიც კულტურამდელ ველში ჰომოსექსუალობის პოსტოიდიპალურ დაბრუნებაზე მიუთითებს, გამორიცხავს იმას, რომ გოგოს სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ კავშირებს, კერძოდ, გოგოს, მისი ოჯახის წევრებსა და ოჯახის გარეთ, სურვილის ობიექტებს შორის ურთიერთობას. ბოლომდე გაუგებარია ის, თუ ვისთან თვითიდენტიფიცირდება იგი, როცა ქალის მიმართ სექსუალურ მიზიდულობას გრძნობს. მაშინ, როცა ფროიდი მკაფიოდ ასკვნის, რომ მამასთან მასკულინური იდენტიფიკაციით გოგო ჰომოსექსუალი ხდება, (,,ის გადაიქცა კაცად და სიყვარულის ობიექტად მამის მაგივრად დედა აირჩია'') (158), პაციენტის სუიციდის მცდელობა, რომელსაც დროებით ჩაანაცვლებს მამის ბრაზი, მიუთითებს ქალთან, დედასთან იდენტიფიკაციაზე. გოგო ისევ აღიქვამს დედას მეტოქედ, რადგან მას მამის სიყვარულისა და ყურადღების მოპოვება უნდა (გოგოს დედა ,,თავადაც იტანჯებოდა რამდენიმე წელი ნევროტული პრობლემების გამო, რის გამოც ქმარი მასზე ბრუნავდა'' (149]. ბუნდოვანია ასევე სიყვარულის ობიექტის გენდერირებული იდენტობა, რამდენადაც, ქალი გოგოსათვის როგორც მასკულინურ, ისე ფემინურ იდეალს შეესაბამება: ,,ქალის თხელი ფიგურა, განსაკუთრებული სილამაზე, იდეალური მანერები გოგოს ახსენებდა საკუთარ უფროს ძმას'' (156). ვისთან გააიგივებს სუბიექტი თავის შეყვარებულს, თუ არა ოჯახურ ან სოციალურ იდეალთან? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა მახასიათებლები მიიზიდავდა სუბიექტს, თუ არა კულტურული ანარეკლი იმისა, რადაც ყოფნა თავად სურს?

იდენტიფიკაციის სკალას, რომელზეც სურვილის მქონე სუბიექტი იცვლის მდებარეობას მიუწვდომელი ობიექტის მორჩილებისა და წინააღმდეგობის ძალის მიხედვით, ფროიდის პაციენტისთვის კლასობრივი განზომილება აქვს. ცნობილია, რომ გოგოს, რომელიც მზარდი საშუალო კლასიდანაა, ,,დაცემული ქალები'' იზიდავს. მისი ამჟამინდელი სურვილის ობიექტი, რომელიც არის ე.წ. ,,demi-monde''(153), ანუ მას დაკარგული აქვს რეპუტაცია და საზოგადოება მის ქცევას ,,ულირსს'' უწოდებს, შეყვარებულ გოგოში რაინდულ ასოციაციებს აღძრავს. შემთხვევის ისტორიაში საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ვარაუდი, რომ ,,ლედი'' სინამდვილეში არის ,,საღამოს ლედი'', რომელიც გარეგნულად ინარჩუნებს მისი ყოფილი კლასის სტატუსს და ის მაღალი კლასის მეძავია: ,,ის ცხოვრობდა მარტივად, გასცემდა რა საკუთარ სხეულებრივ სიკეთეებს'', აღნიშნავს ფროიდი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ქალის გაცნობამდეც კი, გოგოს ,,ისეთი ქალები იზიდავდა, რომლებიც პატიოსნებითა და მორალური ქცევით არ გამოირჩეოდნენ''(161). მის ადრეულ გატაცებებს შორის იყო ,,მსახიობი ზაფხულის კურორტზე'' (პირველი, ვინც გოგოს მამა განარისხა (161]), ასევე ,,მკაცრი და მიუწვდომელი ქალბატონი'' (რომელიც, ფროიდის თანახმად, ,,ცხადია, რომ გოგოსთვის დედის შემცვლელი იყო''(168]). ,,ცუდი რეპუტაცია'' გოგოს მიერ ,,სხვისი შეყვარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს''(161). სამივე ქალი, მეძავი, მსახიობი და მასწავლებელი, რომლებიც გოგოსთვის დედის ჩამნაცვლებლები არიან და მასზე დაბალ კლასს მიეკუთვნებიან, ამავდროულად, ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქალები არიან, რომლებიც ქორწინებისა და ჰეტეროსექსუალური კონტრაქტის გარეშე გამოიმუშავებენ ცხოვრებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს. შესაძლებელია,

რომ გოგოს გარკვეულწილად სწორედ იმ ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სოციალური მობილობის მიმართ ინტერესის გამო გაუჩნდა მიზიდულობა ამ ქალების მიმართ? მათი შეყვარების მიზეზი მხოლოდ მათი სქესი კი არა, არამედ ,,დაბალი'' სოციალური კლასის მიმართ მიკუთვნებულობაც შეიძლება იყოს? ვენის კლასობრივი ცნობიერის მქონე საზოგადოებისთვის, ყველაზე დიდი საფრთხე, რომელსაც გოგოს ,,ჰომოსექსუალური მისწრაფებები'' ქმნის (168), არის ფროიდის მიერ ხშირად გაჟღერებული მოსაზრება ,,დაბალ სოციალური კლასის ადამიანებთან სექსუალური ურთიერთობების დამყარების საფრთხეზე''.

იდენტიფიკაციის დაკავშირება სიმაღლესთან და ეგოს მისწრაფება თავისი იდეალისკენ შეგვახსენებს ახალგაზრდა ფროიდის მოგონებას, როდესაც მას სურდა, მისწვდომოდა დედის კარადას. ფროიდის ეს ადრეული მოგონებები სიმბოლურად პრეოდიპალურ საფეხურზე დაცემას გამოხატავს, რაც მის ფსიქიკას მოზარდობის ასაკამდე შემორჩა. ეს კი, შესაძლოა, მიუთითებდეს ფროიდის არაცნობიერ შიშზე, რომ ის უკვე კასტრირებულია და ჰომოსექსუალურ კონტინიუმზე დედის გვერდით არის მოთავსებული. გოგოს შემთხვევის ფსიქოანალიზისას ფროიდი ცდილობს, რომ თავი აარიდოს ფემინურობასთან იდენტიფიკაციას. ამასთან, ფროიდი მეტნაკლებად აღიარებს მსგავსებას პაციენტის მკაცრ, მაგრამ მოსიყვარულე მამასთან, უწოდებს რა მას ,,პირდაპირ, სერიოზულ, ღირსეულ კაცს, რომელიც გულის სიღრმეში ძალიან მგრძნობიარეა''(149). ფროიდი აღნიშნავს: ,,[პაციენტს] განზრახული ჰქონდა ჩემი მოტყუება ზუსტად ისე, როგორც მან მოატყუა მამამისი''(165). მაგრამ ეს მასკულინური იდენტიფიკაცია ნიღბავს უფრო ღრმა, მეტად უსიამოვნო ფემინურ იდენტიფიკაციას დედასთან, ,,რომელიც კმაყოფილი იყო შვილის მიერ საკუთარ გრძნობებში გარკვევით.'' (149). ფროიდის ტრანსფერენტული როლი, რომელსაც იგი თერაპევტულ სესიებში ირგებდა, არც ექსკლუზიურად და არც პრინციპულად არ წარმოადგენდა მის ჩვეულ, მამისათვის დამახასიათებელ მკაცრ როლს. ამის სანაცვლოდ, ფსიქოანალიტიკოსი დედა განმანათლებლის ნაკლებად კომფორტულ როლს ითავსებდა, რომელიც სიმწიფის ასაკში მყოფ გოგოებს სექსუალურ საკითხებზე ცოდნას გადასცემდა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც კაცი ექიმი, ფროიდი გულწრფელად საუბრობდა სექსუალურ საკითხებზე თავის პაციენტებთან და მუდმივად ღიად ლაპარაკობდა შეუსაბამო ქცევასა და სექსუალურ სურვილებზე, ფროიდს არ შეეძლო, ბოლომდე გაქცეოდა (მიუხედავად მისი მცდელობისა, ეპოვა თავშესაფარი მეცნიერული ცოდნის მიღმა) დედასთან ფემინური იდენტიფიკაციის ,,სტიგმას'', რომლის მიზანია მისი ქალიშვილებისთვის სექსუალური განათლების მიწოდება. დორას ისტერიასთან ფროიდის იდენტიფიკაციის ცნობილი შემთხვევის გარდა, ჯიმ სვანმა ნათელი მოჰფინა ფროიდის არაცნობიერ იდენტიფიკაციას ორსულ ქალთან ირმას ინექციის შესახებ სიზმარში და მისი ბავშვობის დროინდელ ექთანთან იდენტიფიკაციას ,,პატარა ცხვრის თავის'' შესახებ სიზმარში. თავად ფროიდმა ვერ შეძლო ამ კავშირების გამოკვეთა, მიუხედავად იმისა, როგორც სვანი აღნიშნავს, ფსიქოანალიტიკოსის დაკავშირება ექთნის როლთან არც თუ იშვიათად არის გავრცელებული ფსიქოანალიტიკურ ლიტერატურაში.

ამ სასიყვარულო დრამაში ფროიდი შესაძლოა, ყველაზე მეტად ჰგავდეს ქალს, რომელიც მის პაციენტს შეუყვარდა. ფსიქოანალიტიკოსს დაცემული ქალის როლთან აახლოვებს საკუთარი მარგინალური სოციალური მდგომარეობა, ეკონომიკური სიდუხჭირისგან გამოწვეული ცხოვრებისეული შფოთვები, ასევე გულწრფელი/პირდაპირი მსჯელობები სექსუალობაზე. მიუხედავად ამისა, ფროიდისთვის შეუძლებელია, რომ პაციენტის თვალში რამე ღირსება მოიპოვოს:

ერთხელ, როდესაც მას თეორიიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი განვუმარტე და ამ მონათხრობმა მასზე თითქმის იმოქმედა კიდევაც, პასუხად ისე მომიგო ,,რა საინტერესოა'', რომ თითქოს *დიდებული ქალბატონი* იყო, რომელიც მუზეუმში წაიყვანეს და სათვალიდან გულგრილად უცქერდა იქ გამოფენილ საგნებს. (163)

საზოგადოებრივი გავლენის მქონე ქალბატონთან გოგოს შედარება იმაზე მეტყველებს, რომ ფროიდზე საკმაო გავლენა მოახდინა გოგოს ქცევამ, რომლითაც ის მაღალი კლასისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენას ცდილობდა. მაშინ, როდესაც მსგავს ფსიქოდრამაში მზერას დიდი მნიშვნელობა აქვს და ის კასტრაციის ტოლფასიც შეიძლება იყოს, ფროიდიც კი ვერ გაუმკლავდა იმ უსიამოვნებას, რომელიც მისი პაციენტის კლასობრივი აღმატებულებით იყო გამოწვეული. გაღიზიანებამ იგი იქამდე მიიყვანა, რომ მან გოგოს მკურნალობა შეწყვიტა და ურჩია, რომ კაცის ნაცვლად ქალი ექიმი მოეძებნა.(164) ფროიდი თავადვე იხევს უკან ,,სხვის გამო'' (159) და მისი საქციელიც იმის მსგავსია, რასაც თავად უწოდებს ჰომოსექსუალობის ერთ-ერთ ,,მიზეზს'' (159). მისი პაციენტის აროგანტული მზერის გამო უძრავად გაჩერებული, (როდესაც თავად გოგო მამის უსიამოვნო მზერამ შეაჩერა ქუჩაში), ფროიდი თავადვე ,,ეცემა''. შემთხვევის ისტორიაში, სადაც შექცევადი და მოქნილი იდენტიფიკაციები ოჯახის ფსიქიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს, ფროიდი ყველა მხარის, მამის, დედის, შეყვარებულისა და *გოგოს* მნიშვნელოვან როლებს ითავსებს.

დასკვნა

სუბიექტი, რომელსაც ძლიერი სურვილი აქვს ობიექტის მიმართ, საჭიროა, გაუმკლავდეს პირველადი იდენტიფიკაციის (ჰომოფილია) ცდუნებას, თუკი მას უნდა, რომ სიმწიფეს მიაღწიოს, რასაც ობიექტი-ურთიერთობა ეწოდება (ანუ, ჰეტეროფილია). პირველადი იდენტიფიკაცია, რომელიც ფროიდთან უსარგებლოა, მოქმედებს, როგორც გრავიტაციული მამოძრავებელი ძალა, რომელიც საკუთარი რეგრესიული სურვილების სიმძიმის ტყვეობაში მოქცევით მუდმივად ემუქრება სუბიექტს. მოკლედ რომ ვთქვათ, ჯერ წარმოიქმნება იდენტიფიკაცია, რომელიც ცდილობს, წინ გაუსწროს და გადააჭარბოს სურვილს. იდენტიფიკაცია მოიცავს უკონტროლო ორალურ მოთხოვნილებას, რათა სურვილი მთლიანად შთანთქას. როდესაც ფროიდი განმარტავს იდენტიფიკაციასა და სურვილს, იგი თვლის, რომ ჰომოსექსუალური სურვილი სურვილიც კი არ არის, არამედ, ჰომოსექსუალობა წარმოადგენს იდენტიფიკაციის ნორმალურობიდან გადახრის შემთხვევას - სურვილი იგივე იდენტიფიკაციაა მოჭარბებული მოთხოვნილების დროს (ან, სხვა სიტყვებით, ორალური მოთხოვნილება). ეს მოჭარბებული მოთხოვნილება (drive) იმპლიციტურად მომაკვდინებელია: სიტყვა *cadere* (ლათინურად ,,დაცემა'') ეტიმოლოგიურად მიემართება მკვდარ სხეულს. ფროიდისთვის ყოველი დაცემა ჰომოსექსუალობაში არის *შინაგანი სუიციდი,* რამდენადაც ოიდიპალობიდან ,,უკან დახევა'' მოითხოვს არა მხოლოდ სურვილის დაკარგვას, არამედ ფუნდამენტური კავშირის გაწყვეტას სოციალურობის, სექსუალობისა და სუბიექტურობის სამყაროსთან, რომელში შეღწევაზე სურვილია პასუხისმგებელი.

მაშინ, როდესაც სურვილი ჰეტეროსექსუალების ფუნქცია და პრივილეგიაა, ჰომოსექსუალები წარმოდგენილნი არიან, როგორც ისტერიული იდენტიფიკატორები და ექსპერტები იმიტაციაში. ფროიდი სტრატეგიულად აიგივებს ,,ჰომოს'' იდენტიფიკაციასთან, ხოლო ,,ჰეტეროს'' - სურვილთან, რითაც ის ჰომოსექსუალობას საეჭვო ენთროპიულ ,,მიდრეკილებებთან'' აკავშირებს, სადაც ,,ჰომო''

მოიცავს ,,სექსუალობას'' და იდენტიფიკაცია - სურვილს. საბოლოოდ, ფროიდი სექსუალურ ორიენტაციას ნიუტონისეული მიდგომის ფარგლებში აანალიზებს. ამ მიდგომაში დაცემული სხეულები ჰომოსექსუალური სხეულებია, რომლებიც მრავალჯერადი იდენტიფიკაციის სიმძიმის ძალით ეშვებიან ქვემოთ, ხოლო, ამის საპირისპიროდ, ამაღლებული სხეულები ჰეტეროსექსუალური სხეულებია, რომლებიც სურვილებისგან დაცლილნი და შემსუბუქებულნი არიან. აღნიშნულ ესეში ვეცადე, მეჩვენებინა, რომ ასეთ მექანისტური ამხსნელ მოდელი დამატებით სირთულეებს მოიცავს და ის საკუთარივე ცნებებით არის დამძიმებული. საუბარია იმ ცნებებზე, რომლებიც ზედმეტად სცდებიან მათივე ლოგიკის საფუძვლების საზღვრებსა და პირობებს. სწორედ იმიტომ, რომ შეუძლებელია, სურვილი და იდენტიფიკაცია უპრობლემოდ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან, ან გავაქროთ მათი ერთმანეთთან მიბრუნების შესაძლებლობა, ასევე ფროიდის დაჟინებული მცდელობა, იკვლიოს სექსუალური ორიენტაცია მიზიდულობისა და მოძრაობის კანონების მიხედვით, თავისივე რიტორიკული სიმძიმის ძალით საბოლოოდ იმსხვრევა.